წელიწადი მე-2 — ტელეფონი № 76. — ხუთშაბათი, 1 დეკემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად.

**განცხადებების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ... ყოველი ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა ოითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისს ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 498 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 498

ქვრივი პრაპორჩიკისა ოლღა ფილიპე ქეიშვილის ასული გოგავასი, შვილი მისი თამარა, კოლეჟსკი ასესორი ერმალოზ ნიკოლოზის ძე გოგავა, მეუღლე მისი ნატალია ბესარიონის ასული, შვილნი მათნი: ლიუბა, კოლია, მიშა, ნადია და ვერა, სიძე ვლადიმერ ბეკოს ძე ლემურია, რძალი ნინა მიხეილ ლალიაშვილის ასული და ქვრივი ანასტასია ნიკოლოზის ასული ხოტივრისა. მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ—პირველი დაუვიწყარის და ძვირფასის მეუღლისა, მეორენი საყვარელი შვილისა, მესამენი ძმისა, მეოთხე ცოლის ძმისა, მეხუთე მაზლისა და უკანასკნელი შვილის-შვილის, გმირულად დაღუპვას 30 ივნისს ოსმალეთის ფრონტზე პრაპორჩიკის

## დავით ერმალოზ მის გოგავასას,

რომლის ცხედარი უკვე მოასვენეს პოზიციიდან ქუთაისში 27 ამ თვეს. გამოსვენება ბინიდან მოხდება ხუთშაბათს, 1 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა მოხდება იმავე დღეს ქუთაისის სასაფლაოს მთავარ ანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 5 საათზე, საკუთარი სახლი, რუბანის ქუჩა. **ცალკე წერილები არ დაიგზავნება.**

---

პარასკევს 2 ამა დეკემბერს, დილის $9^1/_2$ საათზე, ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი

## თინა კოკოჩაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებულნი მშობლები ლუცია და ვასილ კოკოჩაშვილები და ძმები მისი შალვა, გიორგი და არჩილ კოკოჩაშვილები

---

**ექიმი** ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩარჩიძის (წულუკიძისეული).

---

**ბებია** მ. მ. კიტხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**ექიმი** ი. ზარიძოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლვოვსკის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საატესტატო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

---

**დავკარგე** ქუთაისში ფოსტასა და თეთრ ხიდს შუა

**სახლის გეგმა (პლანი)**

მპოვნელს ვსთხოვ გადმოგვცეს შემდეგი მისამართით: ქუთაისში პაპკორნი ქუჩა

**გიორგი ნიჟარაძეს**

მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

---

**ექიმი** მულინი, ყელის, ცხვირის და ყურების ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

---

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობებ ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლებ ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჭილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

---

**დოქტორი მედიცინისა**

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ლებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. 10—4 დღ. გამ.

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილად ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ იმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, ბ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოქიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 8-8 თ.

---

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან 28 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

## ძლიერის სიმუხთლე.

მხატვრული დრამა 4 ნაწილად. ესპერიისა და კარლო ბენეტის მონაწილეობით.

**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები

იშვიათი გულადი

სახუმარო.

**ა ნ ო ნ ს ი:** ხუთშაბათიდან, 1 დეკემბრიდან

**საინჟენერო ჯარის მუშაობა**

სამხედრო, ნამდვილიდან

**პეტროგრადის ნამირალნი**

2 სერია დრამა 5 ნაწ.

**ქალის ოცნებანი** კომედია

---

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 28 ნოემბრიდან ფრიად საინტერესო პროგრამა.

## გულთან ხუმრობით, გული გაგმირა.

ძლიერი დრამა 5 ნაწილად, კარამანოვისა და პანოვის მონაწილეობით.

ძლიერ სახუმარო **იმის თავგადასავალი** ძლიერ სახუმარო.

**ა ნ ო ნ ს ი:** ხუთშაბათიდან, 1 დეკემბრიდან

**საინჟენერო ჯარის მუშაობა** სამხედრო ნამდვილიდან.

2 სერია

**მშობლიურ ოლგას დაყოლებით**

დრამა 4 ნაწილად ჩაროვისა, პანოვისა, ვალევსკისა და რიმსკის მონაწილეობით.

**ი ჭ ვ ნ ე უ ლ ო ბ ი ს ტ ა ნ ჯ ვ ა ნ ი**

კომედია 2 ნაწ. პრენსის მონაწ.

---

ქუთაისის სახელმწიფო

## ხეხილის სანერგეში

**იყიდება დამყნილი ხეხილები და სხვადასხვა ნერგები, მსურველთ კატალოგი გაეგზავნება უსასყიდლოთ.**

**მისამართი:** წყალ-წითელას გაღმა, ქუთაისის ლესნიჩის კანტორა. **პოსტის:** Въ Кутаисъ, Кутаисскому лѣсничему.

---

ქ. თფილისში დაარსდა

## მელნის ქარხანა „ალაროდია“

**ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს, ალიზარინის ფერისას**

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით. **ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.**

მელანი ასლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

**დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება** ადგილობრივ თუ გაგზავნით.

**მ ი ს ა მ ა რ თ ი:** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „**ალაროდია**“.

---

## მსოფლიო ომი.

**დ ე პ ე შ ე ბ ი**

(პეტ. დეპ. სააგ.

**უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან**

29 ნოემბერი

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. გუკალოვცეს ტყის მიდამოებს მოპირდაპირე მედგრად უშენდა ზარბაზნებს შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე. პოგორჟანის სამხრეთ აღმოსავლეთით, სოფ. იუზეროვკის მიდამოებში, მოპირდაპირე ცდილობდა გაფანტული რაზმებით შემოტევას, მაგრამ ჩვენმა მოწინავე რაზმებმა სროლით უკუაგდეს. ს. ზემბრონის სამხრეთ მიდამოებში, 6 ვერსზე, მოპირდაპირემ შემოგვიტია და ჩვენს ერთ როტას უკან დაახევინა, მაგრამ მეორე როტის დახმარებით უკუვაგდეთ და ჩვენი წინანდელი მდგომარეობა აღვადგინეთ. მოპირდაპირის განმეორებითი იერიში უშედეგო იყო. კირლიბაბას მიდამოებში მტრის ერთმა როტამ შემოგვიტია, მაგრამ თავის სანგრებშივე მივაბრუნეთ. ს. ვალეპუტნის მიდამოებში და ტროტუშის ველში მოპირდაპირე მედგარ წინააღმდეგობას გვიწევს საშინელ სროლას აწარმოებს, თუმცა უნაყოფოდ. მთებში მთელ ბრძოლის ასპარეზზე დიდი თოვლი მოვიდა და ჰყინავს, რაც მეტის მეტად აფერხებს ჯარის მოძრაობასა და მოქმედებას.

**კავკასიის ასპარეზი**

არსებითი არაფერი მომხდარა.

რუმინეთის ასპარეზი. 26 ნოემბერს საღამოს მოპირდაპირემ პლოეშტ-მიზულუს შარაგზაზე რუმინელებს უკან დაახევინა, მაგრამ სამაგიეროდ იერიშებით 27 ნოემბერს დილით რუმინელებმა შესძლეს თავისი წინანდელი მდგომარეობის აღდგენა. აქ ბრძოლა გრძელდება. დუნაიზე და დობრუჯაში ჩვეულებრივი სროლაა.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. სომის სამხრეთით შიგადაშიგ თოფის სროლა იყო. 27 ნოემბერს ვერდენის ასპარეზზე გერმანელების 2 საფრენი ჩამოვაგდეთ. ერთი ცეცხლმოდებული დაეცა მაასზე მდებარე ბრაბანტის მახლობლად მეორე კი გერბევილს მახლობლად დაიმსხვრა. შამპანში სერჟანტმა სოვაჟმა ჩამოაგდო მტრის 1 საფრენი, რომელიც მონტუას სამხრეთით ცეცხლმოდებული დაეცა. მეორე საფრენი ჩამოვარდა ობრის ტყის ჩრდილოეთ წარაფებში.

**ოდესა.** რუმინეთიდან მიღებულის ცნობებით, გერმანელებმა ბუქარესტში სურსათზე ბარათების წესი შემოიღეს. ყველა დაწესებულებას დაევალა მიწერ-მოწერა გერმანულად აწარმოვონ. კერძო დეპეშები გერმანულად თარგმნილიც უნდა წარადგინონ ხოლმე ფოსტა ტელეგრაფის კანტორაში. კარპსა და მარგილომანს გერმანელებმა დაავალეს პატრიოტულ გამოცემათა თვალყურის დევნა. ბუქარესტის გერმანიის და „ადევერულ“-ის რედაქციებში დაბინავდა.

რუმინელებს ბუქარესტიდან დახევის წინ აუფეთქებიათ კომპინში მდებარე გერმანელების ელექტრონის სადგური „ელექტრიკ“-ი და ნავთის სიმრეწველოები 30-40 ვერსის ფარგალში. ააფეთქეს აგრეთვე ნავთის სამრეწველო, რომელიც დღე ღამეში 180 ვაგონ ნავთს იძლეოდა. მორენის მიდამოებში დაუუქმებიათ ყველა ნავთის ჭები და კოშკები, დაუწვავთ 4 ათასი ვაგონი ნავთი. სულ სხვადასხვა ადგილას დაუწვამთ და დაუღვრიათ 50 ვაგონი ბენზინი და მადნეულობის დიდძალი ზეთი.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. მენილის ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთის განაპირას გერმანელებმა ორი ნაღმი აგვიფეთქეს, რის შემდეგაც გაჩაღდა ბრძოლა ამონათხარ ადგილის ხელში ჩასაგდებად. ეს ადგილი ჩვენ შევინარჩუნეთ.

მონასტირიდან დოირანის ტბამდე ცხარე ბრძოლა იყო. ინგლისის ჯარმა სერესის სამხრეთით კიდევ აიღო ოსმალების სანგრები.

**რომი.** იტალიელების მთავარ ბანაკის ოფიც. ცნობა. მთებში დიდი თოვლი აფერხებს საომარ მოქმედებას, სამაგიეროდ ძალიან ცხარე ბრძოლაა გორიცის აღმოსავლეთით და კარსოზე.

**ლონდონი.** საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარბანაკის ცნობა. სერრის აღმოსავლეთით, გომკურის ტყის მიდამოებში ჯარს თავს უყრის. უკანასკნელ დღეებში ძლიერი სროლაა იპრის წინ წაწეულ სანგრებთან და ლოოს გიულუხის მიდამოებში.

**კიევი.** რუმინეთიდან ლტოლვილი ურმებით სავსეა ბესარაბიისა და პოდოლიის შარაგზები აუარებელი გამოქცეული ფეხით მიემართება. ბევრი ოჯახი გზას უხვევს და ახლო მახლო სოფლებს ეხიზნება.

**რიგა.** რიგის მიდამოებს ამოქმედება ეტყობა. განსაკუთრებით ზღვის სანაპიროებთან. მეტად ცხარე სროლაა ხოლმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** გალიციის ბრძოლის პირზე საპოზიციო ბრძოლა სწარმოებს. წინ წაწევა და უკან დახევა მცირე მანძილზე სწარმოებს. ორივე მხარე შეტევას მოკლე ბრძოლის ხაზზე და მცირე ძალებით აწარმოებს. ტყიან კარპატებში დიდი თოვლი მოვიდა ამიტომ სამხედრო მოქმედება თითქმის სრულიად შესწყდა.

**დასავლეთის ასპარეზი.** სომმაზე და ვერდენთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. ჰაერში ბრძოლა გაცხოველდა და რამდენიმე შეტაკება მოხდა.

**იტალიის ასპარეზი.** აღმოსავლეთის ნაწილში, განსაკუთრებით გორიცის წინ, ბრძოლა გრძელდება.

**რუმინიის ასპარეზი.** რუმინელები ეხლა უფრო ნელნელა იხევენ უკან. დობრუჯაში მდგომარეობა წინანდებურია.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**მაკედონიის ასპარეზი.** ცენტრში ცხარე ბრძოლა მოხდა, სხვაგან საარტილერიო სროლაა.

ღამ ღამობით, დილით კი მტერი იერიშებით მოდის, თუმცა მიზანს ვერ აღწევს. დვინსკის და რიგის მიდამოებში ზარბაზნების სროლა გახშირდა. მოპირდაპირე თითქოს იერიშების დაწყებასაც აპირებს.

**პატრასი.** ოსმალეთიდან მიღებულ ცნობებით, სანამ საბერძნეთი ამოქმედდებოდა, წინასწარი შეთანხმება მოხდარა საბერძნეთისა და გერმანეთის მთავრობათა შორის.

**პეტროგრადი.** გამოაქვეყნეს ინსტრუქცია შემოსავლის დაგვარად სახელმწიფო ხარჯის გაწერისა.

**პეტროგრადი.** მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგი ნევეროვი უმართებულეს სენატის წევრად დაინიშნა.

**ლონდონი.** ოფიც. ცნობით ლლოიდ ჯორჯ ძალიან გაციებულა და სახლიდან არ გამოდის.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

სამხედრო ავტორიტეტები აღნიშნავენ: ის მცირე ბრძოლები, რომელიც გოლუბიცა პენიესა და ბრადისა და ზზასოკის მიმართულებათა შუა სწარმოებს, წმინდა პოზიციური ხასიათისაა; ასეთივე ხასიათისაა ბზეაცნიდან 9 ვერსის მანძილზე სამხრეთით. მომხდარი ბრძოლები; ამ ადგილში რუსების პოზიციები წინ არის წაწეული და გერმანელები გალიჩიდან და ნარაუვკის მხრიდან აწვებიან მათ. კუტის მიმართულებით რუსების წინსვლა იავორნიკის სამხრეთით გრძელდება ბრძოლის ხაზი აქ 15 ვერსტ უდრის. ბრძოლა თვით უნგრეთის ველზე სწარმოებს და რუსების მიზანი კირლიბაბა მარმაროშის შარა გზის გადაჭარა არის.

— „რეჩ"-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: ოთხთა კავშირის მხედრობა უეჭველია რუმინიის გინადგურების სამაგიეროდ რაიმე ოპერაციას დაიწყებს გერმანელების წინააღმდეგ. ორ ნახევარ წლის განმავლობაში მუდამ ისე ხდებოდა, რომ გერმანელთა რამდენიმე ოპერაციას მოსდევდა მოკავშირეთა ოპერაციაა ეხლაც, როგორც წინად მოკავშირენი ერთ ერთ ასპარეზზე შეტევას მოაწყობენ სად და როგორ დაიწყება იგი ამის თქმა ჯერ ჯერობით არ შეგვიძლიაო.

— „დენ"-ის მიმომხილველის აზრით რუმინელები გალაც-ფოკშანის ხაზზე გაჩერდებიან და აქ ეცდებიან გერმანელთა შეჩერებას. ეს ხაზი საიმედო საფარია, როგორც მოლდავიის გზებისა, ისე რუსეთის საზღვრებისა.

— დაპყრობილ რუმინეთში გერმანელები 28 ნოემბრიდან ძველი რკინი გზების შეკეთებას და ახლების გაყვანას უკვე შეუდგნენ. მოუზიდნიათ აუარებელი ლიანდაგები, მუხის ბოძები, ბეტონი და მატარებლის მოძრავი შემადგენლობა. სამუშაოებზე სერბიელები, ჩერნოგორელები და სამხედრო ტყვეები დაუყენებიათ.

— ბუქარესტის გუბერნატორად ქ. ლილის ნაგუბერნატორალი ფონ-ჰეირიხი დაუნიშნავთ

— ბუქარესტში გერმანელების შემოსვლის 4 დღის წინად, ბუქარესტის ქალაქის თავს მცხოვრებთა მიმართ გამოუცია მოწოდება, რომელშიაც იგი უბრძანებს მცხოვრებთ, გერმანელებს მეგობრულად დახვდნენ. ვინც დემონსტრაციებს გამართავს გერმანელების წინააღმდეგ და მათ ურჩობას გაუწევს საველე სასამართლოში იქნება მიცემულიო.

— საბერძნეთის მეფეს განუცხადებია: დღეის შემდეგ ჩემი სახელმწიფო შეიარაღებული დაიცავს ნეიტრალიტეტსაო და მოკავშირეთა ყოველ ახალ მოთხოვნილბას ომის საბაბად მივიჩნევო.

— აქნობამდე საბერძნეთისა და ბულგარეთის შორის უმავთულო ტელეგრაფი მოკავშირეთა მიერ შეწყვეტილი იყო, როგორც ეხლა მოსკოვის გაზეთები იტყობინებიან, ეს ურთიერთობა აღუდგენიათ.

— გალიციაში ავსტრიელებს ამ ჟამად ეხმარება კარგი მოზრდილი რაზმი ოსმალებისა. დარდანელის ჯარს საუკეთესო ნაწილი დასვენების შემდეგ სწორედ გალიციაში გაუგზავნია. აქ იმყოფება აგრეთვე ოსმალეთის ერთ ერთი სახელგანთქმული გვარდია.

## სამხედრო მიმოხილვა

ჯერ რუმინიის ოპერაცია არ დასრულებულა: ცენტრალ კოალიციის ორი საუკეთესო გენერალი შეტევას განაგრძობს; ხოლო ბრძოლამ ხასიათი იცვალა და ისე სასტიკად აღარ სწარმოებს. გერმანელებმა სიმხნევეს უკლეს და ისე ძალუმად წინ აღარ იჭრებიან. ამასთანავე ერთად კერძო დეპეშების ცნობებით ვტყობილობთ, რომ გერმანელები უკვე შესდგომიან რუმინიის მიწა-წყლის თავისებურად მოწყობა-მოწესრიგებას: გაჰყავთ ახალი რკინის გზები, ძველებს აკეთებენ და ბრძოლის ველისაკენ ტყვია წამალთან ერთად აურიცხელ თავდასაცავ მასალას გზავნიან.

ეს ყველაფერი კი, იმას მოასწავებს, რომ სულ ახლო მომავალში გერმანელები შეტევას თავს გაანებებენ და თავდაცვაზე გადავლენ.

გერმანელებს ზურგის მომაგრება და სარჩო იარაღის მომარაგება სჭირიათ, ხოლო რუმინიის მიწა-წყალი ფრიად უხეირხულია ამ მხრივ, რადგან იქ რკინის გზების სიმცირესთან ერთად კარგი და დიდი გზატკეცილებიც არ არის.

**ქ. ქუთაისი, 1 დეკემბერი.**

**სომხური პრესა.** სომეხთა ერთსულოვან მოქმედებას საქართველოს ეკონომიურად დაპყრობისა და ქართველ გრიგორიანთა გასომხების საქმეში, რომელ საქმესაც დიდი ხანია ერთგულად ეწევიან ჩვენი მეზობლები,—თავისი მხილებელიც გაუჩნდა და ეს მხილებელი არის სომხური გაზეთი „პაიქარი„.

ეს გაზეთი სწერს:

„უკანასკნელ ხანებში თბილისის სომეხ ტერტერათა შორის ერთნაირი მოძრაობა დაიწყო. სომეხ ტერტერათა „საზოგადოება" კულტურულ-პედაგოგიურ საქმეებს შეუდგა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მღვდლების ხელმძღვანელობით ქართულად მოლაპარაკე სომეხთა სოფლებში სომხური სკოლების გახსნის საქმე*).

*) კარგს ინებებდა პატივცემული გაზეთი „პაიქარი" დაესახელებინა: რომელი სოფლებია საქართველოში **„ქართულად მოლაპარაკე სომეხთა"** სოფლები? შეიძლება „კაციჭამიათა" მაგინებელ გაზეთს, როგორც თვით სომეხს მართლაც ჰგონია, რომ „ქართულად მოლაპარაკე" გრიგორიანები **ყველა სომხები** არიან! ი. ე.

უთვალავგვარი კულტურული საქმე, რა თქმა უნდა ღირსია ქება-დიდებისა, თუ კი ის მოკლებულია ტენდენციურ ხასიათს, მაგრამ რა-კი, ჩვენი ღრმა რწმენით აქ იმალება საზოგადოებრივი თვალსაზრისით რაღაც მავნებელი მიზანი, ჩვენ ნაცვლად სალამისა მას ვგმობთ და საჭიროთ ვთვლით მის აკვანშივე ჩაკვლას. მართლაც, რითი ხელმძღვანელობს ამ შემთხვევაში სომხის ტერტერათა ჯგუფი? შეიძლება მისი მიზანია ფართო მასაში ცოდნის, სინათლის და პოლიტიკური თვითცნობიერების შეტანა, თუ შეიძლება ის გამოეხმაუროს ჩვენს კაციჭამია იდეოლოგთა ძახილს?! ჩვენ ამ საკითხს დაწვრილებით არ ვიცნობთ, მაგრამ თვით ფაქტი გვაჩვენებს, რომ ის დასაგმობია. რატომ?

იმიტომ, რომ თუ მართლაც ზემოხსენებულ მღვდლებს გული შესტკივათ სომხურ მასაზე და დაინტერესებული არიან წყვდიადის მოსპობით და ხალხში სინათლის შეტანით, **მათ ყურადღება უნდა მიექციათ არა დასავლეთისაკენ, არამედ სამხრეთისაკენ—შირაქისა და აბარანისაკენ.** (ხაზი ჩვენია რედ), სადაც გლეხ-კაცობა სიბნელეში და უცოდინარობის მორევში იხრჩვება".

მადლობას ვუცხადებთ გაზეთ „პაიქარის" რედაქციას რომ თავის, ამ შემთხვევაში, გზა აბნეულ თანამოძმეებს ნამდვილ მისამართს უჩვენებს და უთითებს სწორედ იქითკენ, საითაც უნდა იყოს მიმართული სომხის ტერტერა—ბურჟუების მეცადინეობა, მაგრამ არ შეგვიძლია ერთხელ კიდევ არ მოვაგონოთ პატივცემულ რედაქციას (და მის თანამოაზრე ქართულ რედაქციებსაც), რომ არსებობს ორ გვარი ნაციონალიზმი:

ერთია ნაციონალიზმი მიმხდური, როცა რომელიმე ერი სცდილობს მეორე მეზობელი, ერის დაჩაგვრას, გაუბედურებას, ღალატს და ჩაყლაპვას. ასეთი ცდა, ჩვენის აზრითა და რწმენითაც, ყოვლად შეუწყნარებელი და დასაგმობ-გასანადგურებელია, მაგრამ არსებობს სხვა გვარი ნაციონალიზმიც,—ეს გახლავთ ნაციონალიზმი დამხდური, როცა ერს, რომელსაც ათასგვარის ხრიკებით თვალებს უხვევენ, ამცირებენ, ყვლეფენ, აწამებენ, ცილსა სწამებენ, შვილსა სტაცებენ და ადგილ-მამულს ხელიდგან ჰგლეჯენ, ერთის სიტყვით, როცა სურთ რომელიმე ერის განადგურება და ეს ერი კი არავის ებრიყვება და თავის უფლებას იცავს.

ისეთი ნაციონალიზმი დასაძრახისი და ყბად ასაღები არავისგან არ არის, ვინაიდგან ეს ალღოა თავის დაცვისა და რომელი სულელი ურჩევს კერძო კაცსა თუ ერს, თავს ნუ დაიცავო!

ჩვენ თუ რამესა ვწერთ სომხების შესახებ და ხანდიხან შევუძახებთ ხოლმე კიდეც: „ხელები იქითო!", ამით ჩვენ ვიცავთ მხოლოდ ჩვენს ბუნებრივ უფლებას და არავისთან ბოდიშის მოსახდელიც არა გვაქვს რა!

ჩვენ ათასჯერ გვითქვამს და ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, რომ სომხის ხალხისათვის ჩვენ არავითარი ბედნიერება არა გვშურს, პირ იქით, რაც შეგვეძლება დავეხმარებით კიდეც ამ ბედნიერების მოპოვებაში, მაგრამ როცა მათი [illegible] შუა საქართველოში [illegible] ლის გამოღრღნას ლამობენ, გვაპატიონ „პაიქარის" პატივცემულმა რედაქციამ და ძმათა მათთა, თუ მტერს მტრულად დავუხვდეთ და ანგარიში მოვსთხოვოთ!

ნათქვამია: შენსას ჩემი მირჩევნია, სვინაო, და სხვისას კიდევ შენიო!

თუმცა „პაიქარს" ქართველ-სომეხთა დამოკიდებულებისა ამ ნიადაგზე „დიწვრილებით არა სცოდნია-რა" (როგორც თითონვე ამბობს), მაგრამ ის კი უნდა იცოდეს, რომ დედა-მიწის ზურგზე არ არის ისეთი ცოცხალი და შეგნებული ერი, რომ თავის თავს არ იცავდეს და არც მოიპოვება ისეთი სულელი ადამიანი, რომ სამართლიან თავის დაცვისათვის გაჰკიცხოს ესა თუ ის ერი.

მაშ, რას გვიკიჟინებენ ჩვენ დამხდურ ნაციცნალისტებს „პაიქარი" და სომხის სხვა გაზეთები?

იქნება იმათ „მემარცხენეობა და სოციალიზმი" ისა ჰგონია, რომ „ჩემი ჭაპანი და უბედურება შენ, ხოლო შენი ფულები და ბედნიერება მეო!... არა, ბატონებო, ეს მხოლოდ ბუმბენიურ მსჯელობაა. ჩვენ კი ვამბობთ: შენც აცოცხლე და მეც მაცოცხლე! აი ჩვენი დევიზი და თუ აქამდე ვერ შეიგნეს ჩვენი სამართლიანი გულისტკივილი, ის მაინც გაიგონ, რომ ქართველი ხალხი არასოდეს არ ყოფილა მიმხდომი ნაციონალიზმის მომხრე და არც იქნება,—ისეთი კულტურული და დიადი ბუნების შვილები ვართ! ხოლო თუ ქართველი ხალხი ველარ დააძინა იმ „ტკბილმა ნანინამ, რომელსაც აქამდე უმღერდა მას გაიძვერა მოყვარე"—ასეთი გამოფხიზლება ღვაწლად უნდა ჩაეთვალოს ქართველობას, ვინაიდგან იმასაც სიცოცხლე სწყურია: სიცოცხლე კი ისეთი მადლია, რომ ყველას თანაბრად უნდა ეფინებოდეს.

ასე მსჯელობდა ძველად საქართველო, ასე მსჯელობენ დღესაც საქართველოს უკეთესი შვილები და ასეთივე მსჯელობა და რწმენა მიანიჭებს მას ბედნიერებას მომავალშიც, თუნდა ასი ათასი ტერტერა—ვარჟაპეტი კალიასავ ჩაუჯდეს საქართველოს გულ მკერდს.

ვსთხოვთ „პაიქარისა" და მის ძმათა რედაქციებს ეს კარგად დაიხსომონ და თავის თავს მოუარონ, თორემ ავმა და შავმა ცხოვრებამ ჩვენ,—ქართველებს,—დიდი ხანია ჭკუა გვასწავლა.

ია ეკალაძე.

## ქართული პოეზია.

ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მგოსანთა რიცხვი ჩვენში ერთობ გამრავლდა; ხშირად ვკითხულობთ ისეთ ლექსებს, რომლებიც მხოლოდ ლამაზ-ლამაზი

# დაფნისი და ქლოია

**ანტიური მოთხრობა ლონგუსისა.**

**წიგნი მეოთხე.**

(იხ. „სამშობლო) № 497

10. მეორე დღეს ცხენით მობრძანდა ახალგაზდა ბატონი, ცხენითვე ეახლებოდა ხუმარაც. ასტილს სულ ახლად აკოკროდა წვერ-ულვაში. გნათონის (ასტილის მხლებელი, „მსუნაგი"-ხუმარა) ნიკაპ ლოყა კი სამართებლის დიდიხნის ნაცნობი იყო. მირტალა-დაფნისით თანხლებული ლამონი შორიდანვე მიეგება ასტილს და ემუდრებოდა, მოწყალება მოეღო და ეშუამდგომლა მამასთან,—მისი რისხვისაგან ეხსნა უდანაშაულო და მოხუცი მონა. ყველაფერი მოახსენა. მოხუცის ცრემლებმა იმოქმედეს ასტილზე; წავიდა, დაათვალიერა ბაღი და შეჰპირდა, რომ ყველაფერს თავის საკუთარ ცხენებს დააბრალებს, რომელნიც ვითომ კარგად ვერ დააბა აეშვნენ და გაატიალეს ბაღი. ლამონმა და მირტალმა ასეთი მოწყალებისთვის ბედნიერება უსურვეს დაფნისმა ჩვილი ყველა მიართვა, ციკანი, ლამაზი ჩიტები ბარტყებით, ყურძნის აკიდო, ვაშლი და ყველა ამას ლესბოსის ღვინოც დაუმატა რომლის სადარი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნება.

11. ასტილმა მადლობა გადუხადა; ვით მდიდარმა ჭაბუკმა, რომელიც სოფლად მხოლოდ გასართობს ეძებს, კურდღლებზე სანადიროდ გასწია. გნათონს ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი გადაჭარბებული ჭამა-სმა, ლოთობა და გარყვნილება. თითქმის სულ ბავშვი-დაფნისის დანახვაზე პირუტყვული ჟინით და ვნებათა ალით აენთო. ბუნებით მამრობითი სქესის მოყვარული აღფრთოვანდა უცხო სილამაზისა და მშვენიერების დანახვაზე, რომლის მზგავსი ქალაქშიც კი არ მოიძებნებოდა; გულში ჩაეჭრა და გადასწყვიტა მიეღწია მიზნისთვის, რადაც არ უნდა დასჯდომოდა და დარწმუნებული იყო, რომ გულუბრყვილო თხის მწყემსის დასამორჩილებლად დიდი შრომა არ დასჭირდებოდა. თხების დათვალიერების მიზეზით ჩამოშორდა ბატონს და მსუნაგ თვალებს არ აშორებდა დაფნისს. მწყემსი რომ გადმოებირებინა, შეაქო თხები და თან სთხოვა რამე სოფლური ჰანგი დაეკრა სალამურზე. მერე შეჰპირდა, რომ დიდი უფლებით სარგებლობს და დაფნისის მონობიდან განთავისუფლებასა სთხოვს ბატონებს.

12 დაფნისი უკვე მოშინაურებული ეგონა და ორლობეში დაუდარაჯდა ერთ საღამოს, ახლოს მიირბინა, მკერდზე მიიზიდა და ხვევნა ალერსი დაუწყო . . .

. . . . . .

დაფნისი დიდიხანს ვერ მიუხვდა გულთაზრახვას, შემდეგ კი ისე მაგრად ჰკრა გულში ხელში, რომ გალეშილი მუთაქასავით დაგორდა ფერდზე. დაფნისი კი გაიქცა და იმ დღიდან ახლოს აღარ ეკარებოდა გარყვნილ გნათონს. აღარც გნათონი სდევდა, რადგან ჯერ ერთი, დარწმუნდა, მიზანს ვერ მიაღწევდა და მეორეც, შიში შეეპარა გულში, რომ ღონიერ დაფნის ხელში არ შემოვაკვდეო. ახლა სულ სხვა ხერხს მიმართა, ბატონისათვის უნდა გამოეთხოვა ჭაბუკი—მწყემსი და ეგონა, რომ განებივრებული ხუმარას არ გააწბილებდა მისი მფარველ-პატრონი.

13. ჯერჯერობით არაფერის ოქმა არ შეიძლებოდა, რადგან სულ ახალი ჩამოსულ იყვნენ დიონისოფანი და კლეარისტა. ყველგან ცხენის ფეხის ხმა ისმოდა და მონათა მზადება და ფაცური. აი სწორედ ამ გარემოებით ისარგებლა გნათონმა და გრძელი სიტყვა მოამზადა ბატონის შესახვედრად. რომ ჩამოსვლისათანავე გაემხიარულებინა. მაღალი და მხარბეჭიანი დიონისოფანი ბევრ ახალგაზდას კიდევ სჯობდა სილამაზით; მასთან მდიდარი იყო და გულკეთილი. ჩამოსვლისათანავე მსხვერპლი შესწირა მწყემსთა და მიწის მუშათა ღმერთებს—დემეტრას, ბახუსს, პანს და ფერიათ და დიდი წვეულება გამართა. შემდეგ ყანების დასათვალიერებლად წავიდა ლამონის თანხლებით; ძლიერ მოეწონა საგანგებოდ დამუშავებული ყანები, ბაღ-ვენახი (ყვავილით აოხრება ასტილმა მიიღო თავის თავზე), კმაყოფილი დარჩა და მონობიდან განთავისუფლება აღუთქვა ლამონს; ბოლოს კი თხებისა და მათი მწყემსი ნახვა ისურვა.

14. იმდენი უცხო ხალხის დანახვაზე შერცხვა და ტყეში გაიქცა ქლოია. თხის გრძელ-ბალნიანი ტყავით მხარ-ბეჭ დამშვენებული და წელზე ახალ ჩანთა გადაკიდული დაფნისის კი იქვე დარჩა; ხელში ძუძუს მოუშორებელი ციკნები ეჭირა ბატონის მისართმევად. თუ სიმართლეა, რომ ლაომედონის ფარას აპოლონი მფარველობდა, თქმა არ უნდა, მზის ღმერთიც ისეთი იქნებოდა, როგორიც დაფნისი ძღვენი მიართვა და დაბლა დახარა თავი, ხმის ამოღება ვერ გაბედა.

— დიდო ბატონო,—წარმოსთქვა ლამონმა,—ეს ჭაბუკი მწყემსავს შენ თხებს. ორმოცდა ათი დედალი თხა ჩამაბარე და ორი ვაცი; ამ ჟამად კი ასი თხა გვყავს და ათი ვაცი დააკვირდი, რა მსუქნად გამოიყურებიან, სქელი ბალანი აყრიათ და ყველას საღი და მთელი რქები აქვთ. ამ ჭაბუკმა მუსიკას მიაჩვია ისინი და ყველაფერში სალამურის ხმას ემორჩილებიან.

15. კლეარისტამ თვით ისურვა მოესმინა და ეხილნა, თუ როგორ ესმით და ემორჩილებიან თხები მუსიკას. სალამურის დაკვრა უბრძანა და ჯილდოდ ახალ ტუნიკას და სანდლებს შეჰპირდა. დაფნისმა ირგვლივ შემოამწკრივა დამსწრენი, როგორც თეატრში იციან ხოლმე, ამოიღო ჩანთიდან სალამური და ჯერ ოდნავგასაგონად ააკვნესა; თხებმა ყურები აცქვიტეს და გარინდნენ. შემდეგ უფრო ხმამაღლა დაუკრა, თითქოს უბრძანებსო რასმეო მათაც დაიწყეს მწვანის წიწკნა და დაბლა დახარეს თავი; ბოლოს საამო, ნაზი კილოთი ააჟღერა და თხებიც წამოწვნენ მოლზე. ამას მკაცრი და სასტიკი ყურთასმენის გამოყრუებული რამ ჰანგი მოაყოლა-თხები შეიშმუშნენ, ტყისაკენ გასწიეს, თითქო მგელი შეამჩნიეს და თავშესაფარს ეძებენო. მაგრამ, როგორც კი მოისმა მოწოდების კილო, სწრაფ გამოცვივიდნენ ჭალიდან და დაფნისს შემოეხვივნენ. მათზე უკეთესად ვერც მსახურნი ასრულებდნენ ბატონის ბრძანებას და განკარგულებას. ყველა განცვიფრებას მიეცა და განსაკუთრებით კლეარისტა, რომელმაც დანაპირების შესრულება აღუთქვა ლამაზ მწყემს მერე სახლში დაბრუნდნენ სასადილოდ და დაფნისსაც გაუგზავნეს ტკბილეულობა.

16. დაფნისმა ქლოიასაც უწილადა ბატონთ მოკითხული; პირველად იგემა მათი საჭმლის საამო გემო და უფრო დაიმედდა, რომ ქლოიას შერთვის ნებას მისცემდნენ. გნათონის სიცოცხლეს იმ დღიდან დაეკარგა ფასი, როდესაც ყველაფერი ისმინა და იხილა საკუთარი თვალებით და კი ვერ უფლობდა დაფნისს. როდესაც ასტილი ბაღში დასეირნობდა, იხელთა დრო, მიიყვანა ბახუსის სამსხვერპლოსთან და ხელფეხს უკოცნიდა. ახალგაზდა ბატონი გაკვირვებული იყო მისი ქცევით, ჰკითხავდა მიზეზს და თხოვნის ასრულებას შეჰპირდა. მწუხარებით მოცულმა მონამ მიუგო:

— ოჰ, ბატონო, დიდო ბატონო! ვაი შენს საბრალო გნათონს! აქამდე მხოლოდ ჭამა-სმა და დროს ტარება მიყვარდა და მეტი არაფერი მახარებდა ამ ქვეყანაზე; ვფიცავდი, რომ ქვეყანაზე არა სჯობიან-რა

ფრაზებისა და რითმებისაგან შესდგება, აზრითა და შინაარსით კი მეტად სუსტია; ამ გვარ ლექსებს მოემატა კიდევ ფუტურისტული უაზრო ლექსებიც. ძველად მოიძებნებოდენ ჩვენში უბრალო მოლექსეები, რომელთა ნაწარმოები უფრო მაღლა დგას, როგორც პოეტური სილამაზით და მუსიკალური რითმებით, ისე შინაგანი გრძნობიერობით, აზრითა და შინაარსით. სანიმუშოდ მომყავს „თამარიანის“ გამლექსავის თავ. ს. გუგუნავას მამის, 70 წლის მოხუცის, დავით გუგუნავას ლექსი, რომელიც დაუწერია განსვენებულს 30 წლის წინათ.

**მოხუცის მოთქმა.**

ყვავილოვან დროს ვიგონებ,
მის გამო სევდით ვჭმუნდები;
სამოცდა ათ წელს გავცილდი,
ფერი მაკლდება ვხუნდები;
რაც არა მრწამდა სიყრმეში,
ზოგებზე ეხლა ვრწმუნდები;
მაგრამ რა მეთქმის წარსულზე,
მას ველარ დაუბრუნდები!..

— —

ის ველარ მათბობს, რაც წინეთ
უცვლელოდ სახმელს მიდებდა;
ვერ ამაჩქარებს ისინი,
რაც წინეთ გამაგიჟებდა;
ვისაც უყვარდი, მოვძულდი,
მაძაგებს ვინც მადიდებდა;
მიკვირს, რათ მშობა საწუთრომ,
თუ ამ დროს გარდამკიდებდა??

— —

ძალა მერთმევა ვსუსტდები
კაეშნით გული ფრიალებს;
კანკალი მომდის, სული სწუხს,
სადღაც ძარღვებში ჟრიალებს;
ფეხმა მისუსტა ცეკვაში,
წინანებრ ველარ სრიალებს;
ხმამ სიტკბოება დაჰკარგა,
ხიწვი მომედვა ხრიალებს.

— —

ყურთ აღარ მესმის დარდითა,
ვერც არას ხედავს თვალები;
ორღანოს შრომა მოსწყინდა,
აღარ მაქვს სიმხნე, ძალები;
ჟრჟინავს და ჟრჟოლავს საცოდვრად
ხორც-დალეული ძვლები...
იმ დროს დავარდი მოყვასნო,
მე, თქვენგან შეუბრალები!...

— —

ეს ლექსი ამ ერთი კვირის წინად გადმომცა თავ. მიხ. დადიანმა და როგორც მითხრა, ჯერ არსად არ ყოფილა დაბეჭდილი.

ლადო ბზვანელი.

# ახალი ამბავი.

სამტრედიის მცხოვრებლებმა ქუთაისის მაზრის საერობო აგრონომს თ-დ ფ. ი. ფალავანდიშვილს წარუდგინეს წესდება სამტრედიაში სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დაარსების შესახებ და სთხოვეს ნებართვისათვის შუამდგომლობის აღძვრა სადაც ჯერ-არს. ხსენებულმა აგრონომმა ეს წესდება უკვე წარუდგინა საერობო-სამეურნეო აგრომს ა. მ. ვასილევსკის, რათა მან იშუამდგომლოს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება თართონ სამტრედიელებს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დაარსებისა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა მთავრობის აგრონომის ა. მ. ვასილევსკის შუამდგომლობით აცნობა დ ზუგდიდის მაზრის უფროსს, რომ ნოჯიხევის, ხორშის, ხორგის სადიდჯეოს, აბასთუმანის და ხეთის საზოგადოებებს ნება დართონ ამოირჩიონ შერეული კომისია ხობში სამეურნეო სკოლის დასაარსებლად. კომისიაში მიიღებენ სონაწილეობას საერობო აგრანომები და თვით მთავრობის აგრონომი ა. მ. ვასილევსკი.

✦ შორაპნის მაზრის უფროსი ვასაძე დეპეშით ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, რომ 26 ნოემბერს"ყაჩაღებთან შე შეტაკების დროს დაუპატიმრებიათ შემდეგი ყაჩაღები: აბაშიძე, მოდებაძე, მერკვილაძე და ლუთიძე. ორ უკანასკნელთაგან, რომლებიც მძიმეთ ყთფილან დაჭრილი ლუთიძე უკვე გარდაცვლილა. ყაჩაღებისათვის წაურთმევიათ 4 „ვინტოვკა“ რევოლვერი 3, პატრონები 300. პოლიციელთაგანი შეტაკების დროს არავინ დაჭრილა.

✦ ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით სოფელ ბოხვაურში (ოზურგეთის მაზრა) არსდება მომხმარებელი საზოგადოება სახელწოდებით „სარგებლობა“, ხოლო სოფელ გალმა-ტავასში (შორაპნის მაზრა), „საშუალება“.

✦ სენაკის მაზრის უფროსი ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, რომ დეზერტირი ლუკა კოტუა, რომელსაც ბრალს სდებენ ყაჩაღობაში-დაუპატიმრებია და გადაუცია სასამართლოსათვის.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა ოზურგეთის მოქალაქეთა მამასახლისის მოადგილის არჩევნები.

✦ სიმამაცისათვის დაჯილდოვს წმ. ანნას მეორე ხარისხის ჯვრით კაპიტანი ოთარ ფურცელაძე, წმ. ანნას მესამე ხარისხის ჯვრით ფერშალი სიმონ ხეცაძე.

✦ არქიელის გორაზე მცხოვრებთა ერთი ნაწილის მონდობილობით ვარლამ კაშიამ ადგ. საქველმოქმედო საზოგადოების წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა დახმარება აღმოუჩინონ წასულ წლს შავი ჭირით გარდაცვლილ ალექსი როდანაიას, უმწეოთ დარჩენილ ოჯახს, ხემოხსენებულმა პირმა თხოვნა უკვე გადასცა საზოგადოების მდივანს ი—ცინცაძეს, რომელმაც აღუთქვა დახმარება. კარგი იქნება საზოგადოება დროზე აღმოუჩენდეს დახმარებას უმწეოთ დარჩენილ ობლებს.

✦ შუამდგომლობს სოფელ ჩიბურის-ხინდის (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრებნი: იოსებ კოლბაია, ანდრია კირია და ისიდორე კოლბაია შუამდგომლობით მიმართავენ ქუთაისის გუბერნატორს, რათა ნება დართონ მათ რომ გახსნან მომხმარებელი საზოგადოება ხსენებულ სოფელში სახელწოდებით „სამშობლო“,

✦ მთხ, სმზ. „კოოპერაციამ“ შეიძინა მექარხნე ბუზიაშვილისაგან რამოდენიმე ფუთი საპონი და ბარათების სისტემით ჰყიდის თავის წევრებზე, გირვანქას 60 კაპიკათ.

✦ ქალაქის თვითმართველობამ გაუნაწილა შაქარი ყველა დაწესებულებებს დაწესებულებების წარმომადგენლებმა შაქრის მისაღებათ უნდა აიღონ საჭირო ბარათი ქალაქის გამგეობისაგან, რის შემდეგაც შეუძლიათ მიღებული ბარათის წარდგენით მიიღონ შაქარი საზ. „მომავლის“ და „კოოპერაციის“ სავაჭროში.

✦ ქალაქის გამგეობამ კიდევ მიიღო რამოდენიმე ვაგონი პურის ფქვილი ქ. ფოთიდან როგორც გამოგვცემენ ახალ მიღებული ფქვილი უვარგისი ყოფილა.

✦ სოფელ დუცურ-ხმოში (ზუგდიდის მაზრა) ყაჩაღებთან შეტაკების დროს მოუკლავთ ბოროტ-გამზრახველი ტარასი ბატუას ძე კვარაცხელია.

✦ გუშინ ბაზრის ზედამხედველებმა პურის ნიხრზე ზევით გაყიდვისათვის ოქმი შეუდგინეს (ორპირის ქუჩაზე) მეპურე მიხეილ დიმიტრის ძე ჭელიძეს.

## კავკასიის ქრონიკა.

**თფილისი**. ომის გამოცხადების შემდეგ ქალაქის საბჭომ საქალაქო სკოლების მასწავლებელთ ჯამაგირი გაუდიდა. თითო მასწავლებელს თვეში 24 მანეთამდი მიემატა. ეხლა როცა მასწავლებელთ დღიური თვეში 24 მანეთი სახელმწიფომ დაუნიშნა, საბჭომ თავის მხრით მიმატებული ზედმეტი ჯამაგირის მიცემა შეუწყვიტა.

— საზარელი მკვლელობა მოხდა თფილისში. ვინმე აფრიკიანი სამი წელიწადი დასტფრიალებდა ახალგაზდა ქალს მარიამ მარტიროსიანცს, რომელიც გაიანეს სახელობის სომეხთა საქალებო სასწავლებელში სწავლობდა სიყვარული უიმედო იყო, რადგან ქალი საშინელ გულცივობას იჩენდა. ვაჟმა მოინდომა ქალი შეეშინებია, თუ მის სიყვარულს იგი უარს ეტყოდა, მაგრამ ამგვარმა ქცევამ მათში უფრო გაალრმავა უფსკრული. ქალს ვაჟის შურის ძიების ეშინოდა და როცა შკოლაში წავიდოდა დედას დაჰყავდა. 29 ნოემბერს, დილის 9 საათზე, როდესაც დედა და შვილი შკოლის ეზოში შევიდენ, იმ დროს მივარდა ქალიშვილს გალავანში ჩასაფრებული აფრიკიანი და დანით შვიდ ალაგას დასჭრა გულსა და ფერდებში. საბრალო ქალმა ერთი კა შეკივლა და იქვე დალია სული, დედის თვალ წინ. აფრიკიანმაც იქვე თვითონ რამდენჯერმე ჩაიცა დანა მუცელში და უსულოდ ძირს დაეცა.

— **ბათუმი**. ქობულეთში ზღვის ტალღებს ხმელზე ნაღმი გამოუსვრია. ნაღმი გამსკდარა და მახლობელი ყავახანა დაუნგრევია.

**ხონი**. 21 ნოემბერს ვაჟთა გიმნაზიის სასწავლებელში ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის აღსანიშნავად „სალიტერატურო სადამო“ გაუმართავთ. მონაწილეობას იღებდენ თვით ამავე სასწავლებლის მოწაფეები. წარმოადგინეს „და ძმა“ და ბარათაშვილის ლექსები წაიკითხეს.

— **სურამი**. აქ სულით ავათ მყოფთა საავათმყოფოს აშენება გადაწყდა. მას წითელი ჯვრის დაწესებულება აშენებს. ამ საქმისთვის ჯერ გადადებულია 500,000 მანეთი. მუშაობა უკვე დაიწყო, აქ დიდ სიცივესთან, შეშა ერთი ორად გაძვირდა

— **ახალსენაკი**. რამდენი ხანია შაქარი სულ არ იშოვება. პურის შოვნაც ძრიელ გაჭირდა. მარტო კოოპერატიული ფურნე ვაჭრობს. სხვა ფურნეები დაკეტილია. კოოპერატივსაც მალე გამოელევა ფქვილი და ამიტომ საჭიროა დროზე იქმნას აიღებული ზომები.

— **ტუაპსეს** ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილებას თავის საკუთარი შენობა აქვს, რომელშიაც ბიბლიოთეკა—სამკითხველოა მოთავსებული. ზოგიერი პატივცემულ პირთ წყალობით სამკითხველოში ბევრი რუსული და თითქმის ყველა ქართული გაზეთები მოიპოვება. საზოგადოებას დაქირავებული ყავს ბიბლიოთეკის გამგე. სამწუხაროდ სამკითხველო ხშირადაა დაკეტილი და მით მკითხველები ცოტა არ იყოს უხერხულად გრძნობენ თავს.

— **ბაქო**. სამხედრო საჭიროებისათვის მთავრობას გადაუწყვეტია თევზის რეკვიზიცია მოახდინოს სათევზო ადგილებში. ამის შესახებ ხმოსანს წერავას თფილისის ქალაქის გამგეობისთვის თხოვნით მიუმართავს. გამგეობასაც გენერალ იანუშკევიჩის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ თევზი თბილისისთვის უმთავრესი საზრდოთაგანია და 50 პროცენტზე მაინც ნუ მოახდენთ რეკვიზიციასო.

— **ახალსენაკი**. სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლთა კორპორაციაში შემდეგი ცვლილება მოხდა: სასწავლებლის ზედამხედველი ვასილევი გადიყვანეს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად კიშინოვში. მისი თანაშემწე იერ. არსენიშვილი გადაყვანილია ქართული ენის მაწავლებლად ქუთაისში სასულ. სასწავლებელში. რუსული ენის მასწავლებელი ბერმონაზონი ონოფრე (შუშანია) ქუთაისის სალმთო სჯულის მასწავლებლად

## ლიუტერის სწავლა საქართველოში.

(დასასრული).

საქმე ისე მოეწყო, რომ 1516 წ. ახალციხეში, უკვე საკმარისი რიცხვი იყო ლიუტერის სწავლის მიმდევართა. ეს გარემოება ოსმალებმა თავის დროზე ვერ შეამჩნიეს.

შემდეგ მათ ცნობები შეკრიბეს და ათაბაგს საყვედური უთხრეს, რომ თქვენ რათ აძლევთ ამის ნებასაო, ათაბაგმა ბრალი აიხადა და აუწყა, რომ მე მუსულმანი ვერ და ამიტომ არ მაქვს წადილი, რომ ხალხის სჯულის გაცვლის საქმეში გავერიოვო.

ათაბაგმა არჩია საქმის დაშოშმანება, ამიტომ იგი სტამბოლში წავიდა ნახა ხონთქარი და თავი წმინდა მუსულმანათ აღიარა, მასთან აუწყა ისიც, რომ მე ქართველების სჯულის გამოცვლის საქმეში, არ ვერევიო. ოსმალეთის მთავრობა ამან მალე დაამშვიდა, აუწყა, რომ თქვენ ქართველების გადაბრუნების შიში ნუ გაქვთო. „მის. დღ.“ გვაუწყებს, რომ სტამბოლში ყოფნის დროს, ათაბაგი გადუდგა ლიუტერის სწავლას, იგი ისევ ისლამს დაუკავშირდა და აშკარათ დაიწყო ჯამეში სიარულიო, თუმცა იმასაც, ამბობდა თურმე, რომ მე ლიუტერის სჯულს დაუბრუნდები ისევ და ამ სჯულში მოკვდებიო.

ამის შემდეგ, ათაბაგს დიდხანს აღარ უცოცხლია. „საქართ. ცხოვრების“ თქმით იგი გარდაიცვალა 1516 წ. ხოლო ამ დროს, მან თავი კათოლიკეთ განაცხადა და ლათინის წესის პატრისაგან ეზიარა კიდეც. ცნობა არის, რომ ათაბეგი ერთხელ კათოლიკობას დაუკავშირდა, ორჯერ ლიუტერის სჯულს და ორჯერ ისლამს. ახალციხეში ათაბაგი ისე მოქმედებდა, რისა გამო, ლათინის, ანუ კათოლიკის მისიონერებს სულ არაფერი უსიამოვნება არა ჰქონიათ ლიუტერის სჯულის მისიონერებთან. ევროპიელთ შიში მტრობა სულ არ არსებობდა.

„საქართ. ცხოვრება“ ასე ახასიათებს ამ გონიერ მთავარს: — „ესე მზე ჭაბუკ დაზავა ოსმალთა მორჩილებისა პირსა ზედა, ამით მოუხვნა გურიელს აჭარა და ჭანეთი და დაიპყრა თვით“ შემდეგ ამისა, ოსმალეთის მთავრობამ ათაბაგს დაავალა იმერეთის ღალატი და დაპყრობაც. ეს გარემობა ათაბაგისათვის მძიმე იყო თურმე--ამ ბოროტებას აი როგორ სწერს „საქართ. ცხოვრება“. ამ ვაებით სავსე რისხვას:

„ამით დაეზავა ესე მზე ჭაბუკ ოსმალთა და აღუთქვა მორჩილება და მსახურება“

ცხადია, რომ მზე ჭაბუკმაც უღალატა თავის ერს, იმერთ მეფეს, ეს ღალატი მისთვის ადვილი არ იქნებოდა, მაგრამ რა გაეწყობა, ოსმალ სპარსთა პოლიტიკამ ისინი ადვილათ შეაჩვია ყველა ამაებს ყოველს შემთხვევაში ისიც კი უნდა ითქვას, რომ ერთ მხარეს თუ ათაბაგი ეურჩებოდა, მიტომ მეორე მხარეს მით აშენებდა და აშენებდა. იმერეთს გადუგა, უღალატა და მით აი რა მოხერხა და მოაწყო.

„მერმე კვალათ დაამშვნა ხიზანნი და აღაშენა სათათაბაგო და მართვიდა კეთილად ეს მეზობლობდა დავით მეფე ქართველთა, არამედ ამას დიდს მზე ჭაბუკი ამისთვის უწოდენ, რამეთუ დღეთა თვისთა არა ააღრინდა ქათამიცა უსამართლოთ საათაბაგოთა შინა და სცხოვრებდა თვისთა მეზობელთათანა სიყვარულითა და მეგობრობითა. კვალათ უკუ მოიხვნა საათაბაგოს ყოველივე და დაიპყრა თვითვე კვალად მძლავრთა ოსმალთა დაეწყო და ჰყო ქვეყანა მათგან უვნელად“

ასე ახასიათებს „საქართ. ცხ.“ მზე ჭაბუკ დიდს. ეს პირი ღალატობს იმერეთს, მაგრამ მით ამაგრებს სამცხეს, კარგად ბეზარობს ქართლის მეფეს და ბოლოს სამცხეს სრულიათ ათავისუფლებს ოსმალთაგან მზე ჭაბუკმა თურმე იმეცადინა და კათოლიკობას და ლიუტერის სწავლას ამან დაუდო თურმე საფუძველი. იგი პატივით ეპყრობოდა ორივე ამ სარწმუნოებას. ამიტომაც მის დროიდანვე გაჩნდენ სამცხეში ლიუტერის სწავლის მისიონერები, ესენი თურმე ადვილათ შემოდიოდენ საქართველოში და ქადაგობდენ, რადგანაც ათაბაგის კეთილი საქციელის ცნობებიც გაცნობილი ჰქონდათ. XVI საუკუნის გასვლამდის, საქართველოში შემოსულან შემდეგ მისიონერ პასტორები რომელთაც უქადაგებიათ ლიუტერის სჯული.

ეს მოკლე ცნობები მოყვანილია „მისიონ დღიურში“. დღეს აღარც ეს დღი-

---

ძველ ღვინოს; შენი მზარეულები მერჩივნა მთელი მილეთის ჭაბუკთ. და რას ვხედავთ ახლა?! ველარც ერთ საქმეს ვერ ვეკარები, რასაც უხვად ამზადებენ ხორცეულ-თევზეულსა და თაფლის პურებს. ვნატრობ თხად დავბადებულიყავ, დაფნისის სალამური მომესმინა და მასვე ვეძოვებინე. დაეხმარე შენს ერთგულ გნაფონს, შეიბრალე საცოდავი! წინაღმდეგ შემთხვევაში,— ვფიცავ ღმერთებს,—უკანასკნელად ამოვიმსებ გაუმაძღარ მუცელს ტკბილეულობით, ავიღებ დანას და დაფნისის სენაკის კარებთან გამოვილადრი ყელს! და ველარც შენ მომიწოდებ შენ საყვარელ. პატარა გნაფონს, როგორც ყოველთვის მომმართავ და მეფერები ხოლმე.

17. ტირილი მორთო „მსუნაგმა“ და ფეხებში ჩაუვარდა. ამის დამნახავმა ასტილმა თავი ველარ შეიმაგრა მით უმეტეს, რომ თვითონაც გამოცდილი იყო სიყვარულში აღუთქვა, რომ ჩემ პირად მსახურად მოვითხოვ მამას, ქალაქს წავიყვან და მერე შენ გაჩუქებო. შემდეგ ხუმარას გაბრაზება მოინდომა და უსაყვედურა, როგორ არა რცხვენია, რომ ვიღაც გლეხის შვილის, თხის მწყემსის გულისთვის იკლავს თავს?! და განზრახ აგონებდა, რომ საშინელი მყრალი სუნი უდით თხებსო. ყველაფერში გამოცუდლუტებულმა გნაფონმა მიუგო:

— სადაც არ უნდა იყვეს სილამაზე, მაინც ხიბლავს და ატყვევებს კაცს. კიდევ ბევრი ზღაპრებია დარჩენილი, თუ როგ ორ უყვარდა ხალხს ხეხილი ყვავილები, გარეული ნადირნი; თუმცა სიბრალულის ღირსიც არის შეყვარებული, რადგან ყოველთვის უნდა ეშინოდეს საყვარელი არ სების. რასაკვირველია, სხეულით მონაა დაფნისი, მაგრამ მისი სილამაზე კი თავისუფალია. დააკვირდით მის ვველის მზგავს ხშირ კულულებს, მის წამწამებ ქვეშ მოელვარე თვალებს, თითქოს ალმასის ქვები ჩაუსვამთ ოქროშიო! შეხედეთ რძეში შერეულ ღვინისფერ ღაწვებს, მეწამულ ბაგეთ, სპილოს ძვლის მზგავს მძივივით ასხმულ კბილებს. ვინ არ ისურვებდა მწველი კოცნა მოეტაცნა მისი ტუჩებისთვის? რაც შეეხება უბრალო გლეხთან მეგობრობას, თვალწინა გვაქვს ღმერთთა მაგალითი· უბრალო მეხრე იყო ანხიზი, მაგრამ აფროდიტა ჰოლას ჰკარგავდა მისთვის; ბრანხიც თხებსა მწყემსავდა და აპოლონს კი უყვარდა; მეცხვარე იყო განიმედი, მაგრამ თვით ცეცხლის მფრქვეველმა მოიტაცა ოლიმპზე. ნურც ჩვენ დავიწუნებთ ჭაბუკს, რომელსაც შეყვარებული ვით უჯერიან თხები. მადლი შევწიროთ ზევესის არწივთ, რომ ცათ არ აიტაცეს იგი და არ მოაკლეს ამ ქვეყანას ზეციური სილამაზე.

18. გნაფონის ლამაზი და მოსწრებული სიტყვით გამხიარულებულმა ასტილმა სიცილით მიუგო, რომ მუნჯსაც კი აამეტყველებს სიყვარულიო. დროს ეძებდა საუბარი ჩამოეგდო დაფნისის შესახებ, მაგრამ ევდრომმა უკვე მოჰკრა ყური მათ ლაპარაკს. მასაც შეუყვარდა დაფნისი მისი ჰკუისა და გულკეთილობისთვის, სინანული აღეძრა იმ გარემოებით, რომ „მსუნაგი“ და გარყვნილი მონის ჟინის მოსაკლავად ფეხ ქვეშ უნდა გათელილიყო არაჩვეულებრივი ქალწული სილამაზე და ჭაბუკობა დაფნისისა—აი ყველა ამან აიძულა იგი ადრევე ეცნობებინა დაფნის-ლამონისთვის მათი შალაპარაკევი. პირველად ქლოიასთან ერთად გაქცევა ან სიკვდილი არჩია დაფნისმა. ხოლო ლამონმა მირტალე გამოიხმო ალაყაფის კარებთან და უთხრა:

— საყვარელო, მეუღლევ, ვიღუპებით: დადგა დრო, ფარდა აეხადოს დაფნისის საიდუმლოებას. შეიძლება ჩვენი მიტოვება და მწყემსობის თავ დანებებაც დასჭირდეს დაფნისს. მაგრამ დე, მოხდეს, რაც მოსასვლელია—გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდეს! თვით პანსა და ფერიათ ვფიცავ, გამოვამჟღავნებ ყველაფერს, პირუტყვიდაც რო გადვიქცე. ვუამბობ ბატონს, რად ვიპოვნე პირველად, როგორ აღვზარდე, სახსოვარ-ნიშნებსაც მე უჩვენებ. იცოდეს გათახსირებულმა და გარყვნილმა მონამ, ვისი სიყვარულიც გაბედა! ამოიღო სკივრიდან დაფნისთან ნაპოვნი ნიშნები.

19. ასეთი გადაწყვეტილებით მივიდა დაფნისთან. ამ დროს ასტილსაც მი სცემოდა მარჯვე შემთხვევა და თხოვნით მიმართავდა მამას, რომ ქალაქს წაეყვანა დაფნისი; სულ ჩქარა შესწავლის მის სამსახურსო. სიტყვის შეუბრუნებლად დათანხმდა მამა და უბრძანა მოეყვანათ ლამონი და მირტალე, რომ გამოეცხადებინა, ვითომ სასიამოვნო ბრძანება: დღეიდან თხების მწყემსობის ნაცვლად ჩემ შვილს ემსახურება დაფნისიო. სამაგიეროდ ორი მეცხვარის ჩუქებას შეჰპირდა. მოცვივდნენ მაშინვე მონები, რომ დამტკბარიყვნენ თავიანთი ახალი ამხანაგის სილამაზით, ამ დროს ლამონმა ითხოვა პასუხის ნებართვა და მიუგო:

— ბატონო, ყური დაუგდე, რას მეტყვის შენი ერთგული მოხუცი მონა. პანისა და ფერიათა მადლს ვფიცავ იოტისოდენადაც არ ვიცრუო. უნდა გამოგიტყდე, მე არა ვარ დაფნისის მამა და არცა მირტალეს, ჰქონდა ბედნიერება ჰყოლოდა ეგეთი ლამაზი შვილი. მშობლებმა გადააგდეს ტყეში ღვთის ანაბარად, შეიძლება იმიტომ სხვა შვილებიც ბევრი ჰყავდათ. უპატრონოდ ეგდო და ერთი ჩემ თხათაგანი აწოვებდა ძუძუს. ის თხა, რომელმაც დედის მაგიერობა გაუწია დაფნისს, ჩემს ეზოში დავმარხე დიდი პატივისცემით, მასთანვე ვნახე სახსოვარი ნიშნები. ჰოი, ბატონო, იცოდე რომ თვალის ჩინივით უფრთხილდებოდი იმ ნიშნებს და ვინახავდი ცხრაკლიტულში, რომელთა ხილვის შემდეგ დარწმუნდებით, რომ დაფნისი ჩვენი სისხლხორცის არ არის. იყოს ასტილის მონა, არა მაქვს რა ამის საწინაღმდეგო. ხოლო გნაფონის სათამაშოდ კი ვერ გავხდი, რომელსაც მისი ქალაქს წაყვანა სურს.

გ. მუმლაძე.

(შემდეგი იქნება)

ურები არის შენახული, დაიკარგა ყოვე-ლივე მღვ. ივ. გვარამაძის სიკვდილის შე-მდეგ.

იაკობ პასტორი მცოდნე ქართულის ენის, ამან გაავრცელა მზე ჰპუს ლიუტერის სწავ-ლი სახარების შესახებ ეს ყოფილა მღვთის მეტყველებისდოქტორი. ამან ქართული ენა ოსმალური ენის საშვალებით შეისწავ-ლა თურმე და ეს ასწავლიდა თურმე სხვა პას ტორებს ქართულ ენას.

ანდრია პასტორი ტომით ნემეცი ქარ-თული ენა ამან სტამბოლში შეისწავლა. მერე საქართველოში მოვიდა და ახალცი-ხეში სცხოვრებდა, სადაც ვრცელია ლიუ-ტერის სჯული.

ანტონი პასტორი. მცოდნე ქართული ენის. ამან ზედმიწევნით შეისწავლა ქარ-თული ენა, მერე იგი სხვა პასტორებს ამზადებდა.

ბელარსი პასტორი. ტომით ნემეცი, გავ-ლენიანი პირი, ცნობილი არა მარტო სა-მცხედ, არამედ მთელს საქართველოში და სპარს ოსმალეთშიაც.

სელვეცერი პასტორი. ეს იყო გონიერი მისიონერი და კარგი მქადაქებელიც ამან თურმე ნემეცურათ საქართველოს რუკაც შეადგინა ამ მისიონერმა ბევრი შესძინა ლიუტერის სჯულის სწავლას.

მარტენ პასტორი, ტიბინგენის უნივერ-სიტეტში პროფესორად ნამყოფი. ამას ქართველთა დიდებულებიც გადუყვანია ლიუტრის სწავლაზედ ამ პირმა. თურმე ჯაყელების გვერდით რამდენიმე პირი გა დიყვანა ლიუტერის სწავლაზედ. დღეს ლიუტერის სჯულისა ქართველებში სულ არაფინა სჩანს ჯაყელების გვარის წევრნი კათოლიკები კი არიან. მერე ეს ლიუტე-რის სჯულის ჯაყელებიც კათოლიკებათ ზედ გადასულან.

შემდეგ დროს, რადგანაც სამცხეში ლიუტერის სჯულის პასტორები აღარ ყოფილან ამიტომ უმღვდელოთ დარჩენი-ლი ხალხი მთლად კათოლიკობაზედ გა-დასულან და კათოლიკობას შეერთებიან. XVI საუკ. გასულს, საქართველოში ლიუ-ტერის სწავლის მაღიარებელთა ქართველთ რ-ცხვი სულ მოსპობილა.

ზ. ჭ.

## პატარა წერილები.

VIII

ცხოვრების პირობები ძალზე გართულდა და დღეს თუ ყველა არ შრომობს, ისე ძნელია თავის დარჩენა შრომისათვის კი შესაფერისი მომზადება, სწავლა-განათლე-ბის მიღებაა საჭირო „თუ კაცს ცოდნა არ შესწევს გასტანჯავს წუთისოფელიო“, ტყულა არ უთქვამს მგოსანს, დ. გურა-მიშვილს. სწავლა-განათლების მიღების მხრით ჩვენში, განსაკუთრებით, ქალებია ჩამორჩენილი. იყო დრო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ქალებისათვის სწავლა განათ-ლების მიღება ზედმეტ ბარგად მიაჩნდათ, მაგრამ ამ დრომ თავისი პური მოჭამა და დღეს ჩვენში ქალთა სწავლა განათლების საქმე მორიგ საკითხად არის გადაქცეული. მხოლოდ უბედურება იმაშია, რომ ქალთა-თვის შესაფერისი სასწავლებლები არ მოგვე-ძებნება ჩვენში არსებული ქალ-ა მთავრობის ყველასათვის ხელმისაწდომი არ არის. მათში სწავლა განათლების მიღება მხოლოდ მდიდ-რების შვილებს შეუძლია და ღარიბთა შვილები კი სკოლის გარეშე უსწავლელ-ნი რჩებიან. ღარიბ-ღატაკთა შვილების რიცხვი ერთი ათად მეტია შეძლებულ-თა შვილებზე. საწყალმა მშობლებმა რა უნდა მოუხერხონ ასეთ შვილებს? ყვე-ლას ხომ ასაკში შესვლისათანავე ბედი და იღბალი არ გაუჭრის, რომ გათხოვ-დენ და საკუთარი ოჯახის შეძენით ავად არის თუ კარგად, თავი ირჩინონ. ერთად ერთი გზა ასეთი საბრალოებისათვის ის-ღა დარჩენილა ან მოსამსახურეებად წავი-დენ და ან სწორ გზას ასცდნენ და ხორ-ცით ივაჭრონ. ასეთ უკიდურესობამდის რატომ უნდა მივიყვანოთ ჩვენ ჩვენი მო-ძმეების შვილები? ნუ თუ ორ მილიონ ქართველობას იმდენი არ შეგვიძლია, რომ ჩვენი ქვეყნის დაბა ქალაქებში თითო ქალთა უფასო სახელოსნო სასწავლებ-ლები დავაარსოთ? ასეთი სასწავლებლები ხომ პირდაპირ ხსნა იქნება მათთვის? რო-გორ არ შეგვიძლია, მაგრამ მონდომება და მეთაური გვაკლია. კეთილი ადამიანე-ბის მეოხებით ერთი ასეთი სასწავლებელი ქ. ქუთაისში არსებობს. ეს სასწავლებელი ქუთათური ქალთა წრის მიერ არის და-არსებული. იგი ჯერ ნორჩი სასწავლებე-ლია და ფეხის მომაგრება სჭირდება, მაგ-რამ შველა დახმარება არსაიდან არ სჩანს.

ქუთაისში სულ ცოტა ათასამდე მაინც იქნება შეგნებული ქართველი ქალი და ამ ერთად ერთ სასწავლებელს კი, ასი წევრიც არ ჰყავს. მეტი რომ არა ვსთქვათ სირცხვილია ჩვენი მანდილოსნებისათვის ასეთი გულცივობა საზოგადო საქმისადმი რაც ზედმეტი ჩაცმა დახურვისათვის ეხარ-ჯებათ ამ დალოცვილებს მისი მეათედი რომ გადადვან წელიწადში, ეს ხსენებუ-ლი სასწავლებელი სრული უზრუნველ ყოფილი იქნება. რაც უნდა კაი მდგომა-რეობაში ჩავარდეს ეს სასწავლებელი, მარტო ის მაინც ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. მიუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება ბევრი ამ გვარი ქალთა სახელოსნო სასწავლებლები გავ-ხსნათ.

მ. ბუაჩიძე.

## ნ. ბარათაშვილის საღამო

### რეალურ სასწავლებელში.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზდობისათვის, რომელიც შეიძლება ეროვნულ კულტურის ბარომეტრათ ჩაი-თვალოს, „აშენდა საქართველოს“ გმი-რივით, გადაუწყვეტელ პრობლემად ითვ-ლებოდა „თუ რა დაუწერია ილიას“.*)

დრონი იცვალენ. დღეს ეროვნული შეგნება მსწრაფლ იკიდებს ფეხს ყველა წრეებში და, რასაკვირველია, სუყველაზე უკეთ ახალგაზდათა ელასტიურ ბუნებაში.

ამის საუკეთესო დამამტკიცებელი ბა რათაშვილის საუბილეო საღამოებია, რი-თაც მოსწავლე ახალგაზდობა პატივსა სცემს ეროვნულ შემოქმედების რაინდის ხსოვნას.

ასეთ საღამოებში თავისი მწყობრი ხა-სიათით, სიცხოველით და შინაარსით—რეალურ სასწავლებლის მოწაფეთა მიერ გამართულ საღამომ გადააჭარბა. ლამაზ ენით დაწერილი, მკაფიოდ წაკითხული, მეტათ შინაარსიანი გამოდგა გ. ხმალაძის რეფერატი: „ბარათაშვილის შეხედულება ცხოვრების რაობაზე“...

ნიჭიერათ იქმნა წაკითხული „მერანი“ შ. ლამბაშიძის მიერ.

კარგათ წაიკითხეს ბარათაშვილის ლექ-სები ჭიჭინაძემ, კოპაძემ და სხვებმა. მაგ-რამ მოლოდინს გადააჭარბა კორნელ მაღრაძის ხოროს გალობამ (შეასრულეს მისივე მუსიკის „მადლი შენს გამჩენს“ „მიყვარს, მიყვარს მე ჭიკჭიკი“ „მერანი“ და სხვა..) და გ. ხმალაძის ლოტბარობით ქართულ ხალხურ სიმღერების შესრულე-ბამ—რასაც ძლიერ ხელს უწყობდა შესა-ნიშნავი ხმები ვ. ხმალაძისა (ბასი) გ. ხმა-ლაძისა (ბარიტონი) დ. მესხისა (ტენორი).

სალიტერატურო-სამუსიკო განყოფილე-ბის დაგვირგვინებათ კი ძმ. თაქთაქიშვილ-თა მიერ სკრიპკა და ვიოლონჩელზე m-lle თაქთაქიშვილის აკომპანიმენტით, შესრულებული სერენადა უნდა ჩაითვალოს. ანტრაქტებზე სტუმრის სმენას ატკბობდა აქაურ მოწაფეთა ორკესტრის მუსიკა („სამშობლო“, „კავ. პოპური“) „ფოსტა მთებში“, და სხვა...)

დასასრულ წარმოდგენილ იქმნა კ. ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველო“ შეუდარებელი იყო ივანიკას როლში შ. ლამბაშიძე; კარგათ თამაშობდენ აგრე-თვე ვ. ხმალაძე (ვასო) ს. ჯაყელი (კოწია) და სხვა... საერთოთ პიესა კარგათ ჩა-ტარდა.

ხალხი დადათ ნასიამოვნები ღამის 12 საათზე დაიშალა.

Privatus.

*) რომელიც არც ისე შორს იყო სინამდვი-ლე, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. იხ., მაგა-ლითად: მ. საღარაძის „ჩვენი ახალი თაობა“.

## კოოპერატორთა ცხოვრებიდან

27 ნოემბერს ქუთაისის რკინის გზის სად-გურზე მოხდა კრება. გამოსაკვლევი იყო რკი-ნის გზის მოსამსახურეთა კოოპერატივის ან-გარიში თავმჯდომარეობდა ინჟინერი ბ. ზუ-მსკოვი, აღმოჩნდა შემდეგი: კოოპერატივს ჰყო-ლია 400 წევრი, თანხა ჰქონია 4000 მანე-თი. ორ თვე ნახევარში ჰქონია 11125 მანე-თის ალებ მიცემა. სარევიზიო კომისის გამოკ-ლევით ამ ხნის განმავლობაში ყოველივე ხარ ჯის გარედ წმინდა მოგება დარჩენია 1063 მ. 36 კაპ. დიდი მადლობის ღირსნი არიან, რო-გორც გამგეობის აგრეთვე სარევიზიო კომი-სიაც რომელმაც არ დაიზარა არავითარი შრო-მა და მუშაობა ამ ფრიად სიმპატიური საქმის საკეთილდღეოთ, მაგრამ განსაკუთრებით დი-დი მადლობის ღირსნი არიან ბ. ილიებ ბერ-ძენიშვილი და ხაზინადარი არჩილ კვალიევი, რომელნიც თავიანთ თანამდებობის მიერ და-კისრებულ მძიმე სამსახურის ასრულების შე-მდეგ, რაც კი თავისუფალი დრო ჰქონდათ უარჰყვეს თავის პირადი სიამოვნება დასვენება და ამ ფრიად სასარგებლო საქმეს მიახმარეს და ისიც კი უსასყიდლოთ თუმცა აღმოჩნდენ რამოდენიმე პირები, რომლებმაც განიზრახეს ამ საქმის ძირის გამოთხრა, მაგრამ სასწორ-მა სამართლის მხარეს გადიხარა და პატიოსა ნმა შრომამ და მუშაობამ თავისი ადგილი დაი-ჭირა.

დამსწრე.

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. მეჯვრისხევი.** ამ სოფელში არსებობს ქართველ ქალთა საზოგადოების განყოფილება „მანდილოსანი“ ეს საზოგა-დოება გაიხსნა 1 გიორგობისთვეს 1915 წ. გორის ქართველ ქალთა საზოგადოების გამ-გეობის თავმჯდომარე ანასტასია ერისთავი ხოშტარიას თანდასწრებით, რომელმაც დროს შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. კრებას განუ-მარტა მნიშვნელობა ახლად დაარსებული სა-ზოგადოების და აუხსნა დამსწრეთ რა დია-დი საქმე შეუძლიან შეასრულოს ამ საზო-გადოებამ ქალთა ცხოვრებაში. შემდეგ არჩე-ვნები მოხდა, აზრათ აქვთ სათვისტომო სკოლის დაარსება. ამ მიზნით „მანდილოსამა“ გახსნა პურის საცხობი ზავთხელში და საქმეც კარგად წავიდა. აქაურმა პურით მოვაჭრეებმა პურით ვაჭრობა დაუთმეს „მანდილოსანს“ და თავი-ანთი დუქნები დაკეტეს.

მაგრამ სულ ასე მშვიდობით ამ საქმემ არ ჩაიარა გამოჩნდენ მტრები და საზოგადოება ააღაპარაკეს, ვითომ მანდილოსანი ცუდ პურს აცხობდეს და ძვირად ყიდდეს. ამის გარდა ორმა ქალმა „მანდილოსნის“ გვერდზე ფუ-რნე გახსნეს, ამისთვის უგანსვენებლმა დროე-ბით შეწყვიტა პურით ვაჭრობა. ვაჭრობის დახურვის შემდეგ მათ დარჩათ წმინდა მოგება 230 მანეთი.

21 ნოემბერს ქალთა საზოგადოების გან-ყოფილებამ სათვისტომო სკოლა გახსნა სკოლა უკვე მოქმედობს.

საქ.

— **სოფ. ცხემლის-ხიდი**, ეს სოფე-ლი პატარა ცენტრია, რომელიც ირგვლივ ს. ს. უხსნებს ბაღდადისკენ და აბზუის ნაწილს იგრავს. ხალხი მეტად ფხიანი და ენერგიუ-ლია. აქ არსებობს მომხმარებელი დუქანი „ჩვენი საშვალება“ 21 ნოემბერს ამ დუქნის საზოგადო კრება მოხდა, რომელიც ცხოველი და ერთსულოვანი იყო. დამსწრეთ ეტყობო-დათ მეტი დაკვირვება და საქმის სიყვარული ეტყობოდათ, რომ მათ კარგად შეუგნიათ კოოპერაციის იდეათა მნიშვნელობა. კოოპე-რატივი შეიცავს სამს განყოფილებას: სააბა-ზალეო, საფართლო და ფურნეს საყვირვე ლია, რომ ამ კოოპერატივს მეთაურობენ ეს წავლულნი პირნი, მაგრამ სამაგალითოდ წაუ-ყვანიათ მათ საქმე. სარევიზიო კომისიამ გა-მოაკვლია ის, რომ საქონელი კოოპერატივში 7 როცენტის მოგებით უყიდიათ, მაგრამ მა-ინც ეტყობა, რომ დიდძალი წარმოება უფრო-ლა და საქმე სასარგებლოდ და სასახელოდ უწარმოებიათ.

„თა. აზ“

— **სოფ. ნატანები.** ბათუმის რკინის გზის გაყვანამდი აქ უღრანი ტყე იყო და ველური ღორები ბინადრობენ. დღეს რკინის გზის სადგურია და მის ახლო-მახლოთ მთელი სოფელი მოშენდა. აქაა ეკლესია, სკოლა, აფთიაქი, კოოპერატიული დუქანი, ფოსტა და სხვა. აქვე არსებობს თავ. მ. მ. ნაკაშა-ძის სტ-ტეს სახერხი ქარხანა, რომელიც სო-ფლის აღორძინებას ხელს უწყობს.

ნატანების თითქმის ორი ვერსის მანძილ-ზე პატარა გემ-ნავების სადგური ადგილია შეკვეთილი. (ახლა ნიკოლაევს ეძახიან). რკი-ნის გზის აგებამდი შეკვეთილი გურიის ბო-ლოში ადგილი იყო და აქედან შემოჰქონდათ გურიაში სამხედარ-გარეული საქონელი და აქედამ სიმინდი გაქონდათ, დღეს „შეკვეთილი როგორც სავაჭრო ადგილი, აღარ არსებობს; დღეს მხოლოდ სადარაჯო ადგილს წარმოადგენს. ნატანები ოზურგეთიდან 18 ვერსზეა; მიმო-სვლა უწინ ეტლებით იყო და კაცზე 3—5 მანეთს აძლევინებდენ, მაგრამ ოზურგეთში შედგა მეეტლეთა ამხანაგობა და მიმოსვლა 40—60 კ. გახდა. დღეს კი 1 მ. და 30 კაპ.

თ. ა.

## რუსეთი.

პროტოპოპოვს როძიანკოსთვის უთხო-ვნია, რომ ეს დეპუტატის სახელით მო ლაპარაკეთა სიიდან ამოშალოს. ხმებია პროტოპოპოვის მდგომარეობა უარესდე-ბაო.

— როსტოვში და სხვა ქალაქებში ხორბლის ნაკლებობის გამო რამდენიმე წისქვილმა სრულიად შესწყვიტა მუშაობა

— შტიურმერი თავის ოჯახით კავკა-სიაში სახლდება.

— გზათა სამინისტრომ რკინის გზათა სადგურის უფროსებს გაუგზავნა განსა-კუთრებული ცირკულიარი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ომიანობის განსაკუთრე-ბულ პირობების გამო მარგანეცის ფინ-ლანდიაში გაზიდვა აკრძალული ყოფი-ლა. სადგურის უფროსებს აბრთხილებენ, რომ ფინლანდიაში გასაგზავნი მარგანეცი არსად არ მიიღონ.

— ვ. მ. პურიშკევიჩს რამდენიმე ასი მილოცვის დეპეშა მიუღია. მას მადლო-ბას სწირავენ სათათბიროში გულახდი-ლობისა და გამბედაობისათვის.

— რუსეთში ამ ბოლო დროს ბევრი იაპონელი სოვდაგრები და ფინანსისტები ჩამოსულან. მათ აზრათა აქვთ თავისი კა-პიტალი რუსულ წარმოებებში დაბინა-დონ.

— პროგრესიულ ბლოკს დაუდგენია მარკოვ მეორეს პარლამენტალური ბოი-კოტი გამოუცხადოს. კომისიაში მას აღარ აირჩევენ და, როცა ის ტრიბუნიდან სი-ტყვის წარმოთქმას მოინდომებს მთელი ბლოკი დარბაზს დასტოვებს

„რუს. სლოვო“-ს სიტყვით მუსულმა-ნთა ფრაქციას, პროგრესისტებს და კადე ტებს თურქესტანში მომხდარ ამბების გა-მო შეკითხვა შეაქვთ სახელმწიფო სათათ-ბიროში.

— პეტროგრადში და მოსკოვში დღე დღეზე მოელიან პროტოპოპოვის თანამ-დებობიდან გადაყენების რესკრიპტს.

— სამხრეთ დასავლეთ რუსეთში სურ-სათ სანოვაგის დიდი სიმცირეა. ისედაც გამწვავებული სასურსათო კრიზისი უფრო გამწვავდა, იმით რომ ამ მხარეს რუმინიი-დან აუარებელი ლტოლვილი მოაწყდა.

## უცხოეთი.

გერმანიის მთავრობას აზრადა აქვს ახ-ლო მომავალში სახელმწიფო საკუჰნაოები და სასადილოები გახსნას. რაც რომ მთელ გერმანიაში სურსათ-სანოვაგე მოიპოვება მთავრობას თვალქვეშ ექნება და თვითვე დაამზადებინებს საჭმელებს ხსენებულ საე რთო სასადილოებში, საიდანაც ისარგებ-ლებენ როგორც ღარიბნი ისე შეძლებულ-ნი კერძოდ საჭმელების მომზადება აღ-კრძალული იქნება.

— აწ გარდაცვალებულ ფრანც-იოსე-ბის მაგიდაში უპოვიათ ხელნაწერები, რო-მლებიც მეფის კარზე მყოფ პირთა, სხვა-დასხვა სახელმწიფო მოღვაწეთა და სარდ-ლების დახასიათებას შეიცავს. მოხუც იმ-პერატორის ჩინებულის სიმარტივით და ზედმიწევნით დაუხასიათებია სახელმწიფოს სვებედის გამგებელნი.

— ინგლისის მინისტრთა საბჭომ (კაბინეტი) გა-დადგა. ახალ კაბინეტს მეთაურობენ ლლო-იდ ჯორჯი და ბონარლოუ.

— ლლოიდ ჯორჯს მოუწვევია მუშე-ბი და მათთვის უთქვამს ... ომში მუშებს განსაკუთრებული მნიშვნე-ლობა ეძლევათ, მაგრამ, თუ ხელფა ის მომატებას კიდევ მოთხოვთ, რეპრესიულ ზომებს ვიხმართ თქვენ წინააღმდეგაო.

— ნიუიორკში ერთ ნადიმზე პრეზი დენტ ვილსონს სხვათა შორის უთქვამს: „მე მრწამს, რომ ქვეყნიერებას მხოლოდ მშვიდობიანობა გაანთავისუფლებს. მე ნე-ბა მაქვს ვსთქვა, რომ ვიდრე ქვეყნების სვე-ბედს რამდენიმე პირი განაგებს, მშვი-დობიანობაზე ლაპარაკი მეტია; რადგანაც ის რამდენიმე პირი მუდამ სხვის დამორ-ჩილებას ეტრფის. საფრანგეთი კი თავი-სუფალი ქვეყანაა; ამერიკასა და საფრან-გეთს კი თავისუფლების იდეა აერთებს; საფრანგეთი და ამერიკა ერთი და იგივე ტანის ორი ასო არისო.

— ლლოიდ ჯორჯის მინისტრთა კაბი-ნეტს განუზრახავს მუშათა სამინისტრო დაარსოს, სამხედრო საბჭოში მუშათა წა-რმომადგენელი შეუშვას და მომავალ სა-ზავო კონფერენციაზე მუშების დელეგა-ტიც გაგზავნოს.

— „ტაიმს“-ი სწერს ისეთ დემოკრა-ტიულ ქვეყანაში, როგორც არის ინგლი-სი, მუშებს უფრო მეტი ყურადღება მიაქ-ციონ და მთავრობასთან თანამშრომლო-ბისათვის ფართე გზა მისცენო.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |


## ავი სენი.

უოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმე-დებას იმ დასკვნამდი მიუავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანე-ბებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხა-მავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგ-რესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკა-ლური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუ-ფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ მისაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გემსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიე-რების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სი-დამბლეს. ხითარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლა-ბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** საავთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)


... სტამბა ალ. კოპერი ძისა

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.